ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

№ 2063 შაბათი, 8 თებერვალი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2063

ხელის-მოწერის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ბანქის ლოდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

სეტყვის ამაცდენელი ზარბაზანი (მორტირა)

კელენის სისტემისა

„იდეალ“

სახალხთაშორისო კონგრესზე ლიონში **უმაღლესი საჩუქარი** მიუღია. მკვიდრად გაკეთებულია და ხმარებაც **ხულ უშიშრად** შეიძლება. სრულიად რუსეთისათვის ერთად-ერთი წარმომადგენელია **პეტრე ქიფიანი** **ტფილისში**, ოლგინსკი ქუჩა, სახლი მაქაროვისა. **ტელეფონი 150** ზარბაზნების საწყობი სარაჯიშვილის სახლშია წყნეთის ქუჩაზე. (0—5)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

ზედგენიძისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

ექიმები:

მ. ი. ზიზინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მუღიანი. ყურის, ყელისა და ცხვირის 9—10.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

ბ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ქამოიძე.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მუხიელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათი $11^1/_2$—$12^1/_2$.

დ. ა. ზედგენიძე, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 კვირაობით 10—11.

ა. შ. ბარხუძოვი—დედათა სნეულებანი, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ზრ. მ. ხობოლევსკი—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ბ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.).

შასიერიდა სუედის გიმნასტიკა“, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 6 ს.—8 საათ. საღამოს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (აგჯალის ქუჩის დასაწყისში)

ტელეფონი № [illegible]

წარმოდგენა მე-46. ტელეფონი 617

◆ იაფ-ფასიანი წარმოდგენა ◆

ქართული თეატრი

კვირას, 9 თებერვალს, 1903 წელს.

დილის იაფ-ფასიანი წარმოდგენა

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

◆ დაკლებულის ფასებით ◆

დილის 12 საათზე

პეპო

კომ. 3 მოქ. გ. სუნდუკიანცისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. ე. ჩერქეზიშვილისა, ნ. გამყრელიძისა, ბ. რიონელი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი.

ადგილების ფასი დაკლებულია

დასაწყისი დღის 12 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად ვ. გუნიას საბენეფისოდ 13 თებერვალს ორი ახალი პიესა: „**დაბრუნებული გერი**“ და „**სიძე სიმამრი**“).

რეჟისორი **ვალ. გუნია**

კბილის ექიმი

ივანე ზაქარეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (Гол.

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. **ტელეფონი 642**

საზღვარ-გარედ

სამხრეთ-აფრიკა. შეურიგებელ ბურებს ჩემბერლენისათვის ამნაირი პეტიცია ჩაუბარებიათ ბლუმფონტეინში:

1) ზავის პირობები არასოდეს არ შესულან კანონიერ ძალაში. აქ მოხსენებულია: ერთი ადვოკატი ზავის პირობით ასაბუთებდა თავის საქმეს, მაგრამ სასამართლომ უარ-ჰყო ეს საბუთიო;

2) ზოგიერთა ბურებს სამხრეთ-აფრიკაში დაბრუნების ნება არ მისცეს. ესეც პირობის დარღვევაა.

3) სასწავლებელთა და რკინის გზების მმართველობა უსათუოდ ბურებს უნდა ჩაჰბარდეს.

4) აჯანყებულ კაპელ კოლონისტებს არ ეპატიათ, თუმცა ამაზე ბევრს ვეცადენით კაპის კოლონიის მთავრობასთან.

5) ზოგიერთ ბურს ომის დროს ციხე გადაუწყვიტეს; ამათ საქმეზე უსათუოდ გამოძიება უნდა დაინიშნოს.

6) ორანჟეს რესპუბლიკის მთავრობისაგან მიცემული ბარათები კანონიერ ბარათებად უნდა აღიაროს ინგლისის მთავრობამ.

7) ზოგიერთი ბური ლორდ რობერტსის პროკლამაციის ძალით—1900 წ. 27 ივნისს გამოიცა—საზღაურს თხოულობს. ეს თხოვნებიც უნდა დააკმაყოფილოს მთავრობამ.

8) ორანჟეს რესპუბლიკის მთავრობის ბარათებით ინგლისის მთავრობამ დაუყოვნებლივ ფული უნდა გადაიხადოს.

9) ვინც 1901 წლის სეკტემბრის შემდეგ ბურების რაზმში იბრძოდა, იმათაც დააკისრეს ის ხარჯი, რაც იმათ ცოლშვილზე საკონცენტრაციო ბანაკებში წავიდა. ეს მეტად უსამართლო და საწყენი განკარგულებაა.

10) ინგლისის ჯარებმა ზავის წინად დაიჭირეს ბურების ადგილები. ამაშიაც სრული საზღაური უნდა მიეცეს ბურებს.

მე-11 მუხლში ნათქვამია: ბურები ჯერ-ჯერობით ამაზე მეტს არას თხოულობენ-თუმცა ბევრი სხვა დიდი საჩივარი და სათქმელიც აქვთ. სკოლები თანასწორად არაა განაწილებული კოლონიაში და მთავრობა საკმაოდ არა ჰზრუნავს ჰოლანდიელთა ბავშვების აღზრდისათვის. ეხლანდელმა საფინანსო მმართველობამ ასეთი დიდი გადასახადები დაადო ორანჟეს კოლონიას რომ—თუ საქმე ასე წავიდა, კოლონია მთლად დაიღუპებაო. დასასრულ ბურები იმედს გამოსთქვამენ, ჩვენი მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იქნებაო.

საქსონია. პრინცესა ლუიზა ამ ჟამად საავადმყოფოში იმყოფება. ეხლა ირწმუნებიან, ვითომ პრინცესა საკუთარის ნებით შევიდა საავადმყოფოში, აპრილში ან მაისში მოიმშობიარებს და მერე ისევ გამოვაო. პრინცესას მრავალი წერილი მოსდის სხვა და სხვა ადგილიდან და უმთავრესად ამერიკიდან. წერილის ავტორები უთვლიან პრინცესას, თუ ფული გჭირდებათ, გამოგიგზავნითო.

ჟირონის თაობაზედაც ბევრნაირი ხმა დადის. ზოგი ამბობს, ჟირონმა სამუდამოდ აიღო პრინცესაზე ხელიო; მეორები ამბობენ, ჟირონმა საზოგადოებისა და პრინცესას მშობლების გულის მოსაგერად მხოლოდ დროებით დაანება თავი პრინცესასაო. ერთს დროს ხმა გავარდა, ვითომ ჟირონს დიდი ფული მისცეს, რომ პრინცესას მოჰშორებოდა. გერმანული გაზეთები ძლიერ ცუდად უყურებენ ჟირონს, მაგრამ ეს გაზეთებიც კი ზიზღით უარ-ჰყოფენ ამ ხმას და უმატებენ, ჟირონი ყველაფერში პრინცესას სურვილს ასრულებდა და არაფერში არ აბრკოლებდაო. „ნიუ-იორკ-ჰერალდ“-ს სწერენ ჟენევიდან: პრინცესასა და ჟირონს ერთმანეთთან მიწერ-მოწერა აქვთ გამართულიო.

ჟირონი, როგორც ვიცით, ბრიუსელს წავიდა, სადაც საქსონიის ჯაშუში გაჰყოლია; რამწამს ბრიუსელს მისულა, ჯაშუშს ორი თანაშემწეც დაუბარებია.

მას აქედ რაც პრინცესა საავადმყოფოში შევიდა და ჟირონს მოჰშორდა, პრინცესას მშობლებსაც, ცოტა არ იყოს, გული მოულბათ და პრინცესას ისე სასტიკად აღარ ეკიდებიან. „მიუნხ. ცაიტ“-ის გაზ. სწერენ ზალცბურგიდან: ტოსკანიის გვარეულობის წევრებმა თათბირი მოახდინეს პრინცესას საქმეზე და დაიდგინეს: თუ პრინცესას ჰსურს, რომ იმისმა მშობლებმა კიდევ მიიღონ, ასეთი პირობა უნდა შეასრულოს: 1) ჟირონს სამუდამოდ თავი უნდა დაანებოს; 2) იქ უნდა იცხოვროს, სადაც მშობლები ეტყვიან; 3) პრინცესას ფრეილინებს და მოსამსახურეებსაც იმისი მშობლები დაჰნიშვნენ. ჰფიქრობენ, პრინცესა მიიღებს ამ პირობებსო.

ფელეტონი

ბურჟუაზიული დემოკრატიზმი.

(დასასრული *)

საზოგადოდ ბურჟუაზიის ბრძოლა ორ ნაწილად განიყოფება: პირველი ხანა იყო ფეოდალიზმის წინაამდეგ ბრძოლა, მეორე ხანა ბრძოლა აბსოლუტიზმთან, მესამე ხანა კი არის ბურჟუაზიის ბატონობა.

როგორც უკვე ვსთქვით, პირველი ხანა იყო ბრძოლა ძველ ქალაქთა და კომმუნათა (რომელნიც შემდეგ ქალაქებად გადაიქცნენ) ფეოდალების წინაამდეგ. ამ დროსვე ეკუთვნის სამღვდელოების წინაამდეგ ბრძოლა, მაგრამ ეს იგივ ფეოდალიზმთან ბრძოლაა, რადგან სასულიერო წოდებაც ფეოდალური მპყრობელი იყო. ისინი უფრო ქალაქების ბატონობას სჩემობდნენ, რადგან ზოგი იმ კომმუნათაგანი, რომელნიც შემდეგ ქალაქებად გადაიქცნენ, სამრევლო საზოგადოებისაგან წარმოსდგნენ (parasse). ბრძოლა პირველად იტალიის ქალაქებში დაიწყო, უეჭველია იმიტომ, რომ იქ ჯერ სრულიად არ გამქრალიყო ხსოვნა ქალაქების ძველ თავისუფლებისა. მეთორმეტე საუკუნეში იტალიის ქალაქები უკვე თავისუფლები იყვნენ. თვითეულმა მათგანმა დაიარსა დამოუკიდებელი რესპუბლიკა კონსულის მმართველობით.

იტალიის ქალაქების ბრძოლის იდეა მალე სრდილოეთშიაც გადავიდა და საფრანგეთის და გერმანიის ქალაქებმაც მალე დაიწყეს ბრძოლა. ისინიც განთავისუფლდნენ, მაგრამ იტალიის ქალაქებისავით დამოუკიდებელი რესპუბლიკა კი არ დაიარსეს. ისინი მხოლოდ ფეოდალებისაგან დამოუკიდებელნი გახდნენ და დაიარსეს საზოგადოება, რომელიც თავის შინაგან საქმეს თვითონვე განაგებდა, მაგრამ გარეგნად კი რამდენადმე კოროლის უფლებას ექვემდებარებოდა. მხოლოდ ესეც უნდა აღვნიშნოთ, რომ იტალიის ქალაქებმა შემოიერთეს სოფლები, იტალია ტერრიტორიებად დაჰყვეს და თვითოეულ ტერრიტორიის ცენტრი თვითოეული ქალაქი გახდა. საფრანგეთში სოფელსა და ქალაქს შუა თანასწორობითი დამოკიდებულება დამყარდა. გერმანიაში კი ტერრიტორიალურმა მფლობელებმა ძალა არ დაჰკარგეს და მაინც ქალაქს სოფელი გაუბატონეს. ეს იმიტომ მოხდა, რომ მონების განთავისუფლების საქმე გერმანიაში უფრო ცუდად მიდიოდა. ეს კი აუცილებლად საჭიროება იყო ქალაქის ძლიერებისათვის. საზოგადოდ, როდესაც განმთავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო, სოფელი და ქალაქი ერთად იბრძოდნენ და ერთის გამარჯვება მეორის გამარჯვება იყო, თუმცა კი, რასაკვირველია, ამ ბრძოლაში ქალაქი წინ უძღვოდა სოფელს, რადგან ქალაქში უფრო ერთად ჰქონდათ თავი მოყრილი თავისუფალ ხალხს და დაბალი კლასსი უფრო მჭიდროდ იყო შეკავშირებული და ბრძოლაც მათთვის უფრო ადვი იყო. ამავე როლს თამაშობდნენ კომმუნებიც. ამ გვარად ბურჟუაზიამ და სოფლის გლეხობამ ერთად დაიწყო ბრძოლა ბურჟუაზიის მეთაურობით. უეჭველია, ეს იყო მიზეზი, რომ შემდეგ ესენი ყველანი ერთ წოდებაში მოაქციეს და დაარქვეს ყველას ერთი სახელი: მესამე წოდება (tiers ètat), ხოლო რამდენად განსხვავდებოდა თავდაპირველადვე ბურჟუაზიის და სოფლის გლეხ-კაცობის ინტერესები, სჩანს იქიდან, რომ განთავისუფლებული გლეხები, თუ ისინი თავის მიწაზევე რჩებოდნენ, მაინც სრულ თავისუფლებას ვერ იღებდნენ და ბევრით არ იუმჯობესებდნენ მდგომარეობას, რადგან თვით იმ მიწას, რომელსაც ისინი მუშაობდნენ, ათას ნაირი ხარჯი აწვა. ისინი კი, ვინც ქალაქში მიდიოდნენ და ერთ წელიწადსა და ერთ დღეს მაინც რჩებოდნენ იქ, თავისუფლები ხდებოდნენ. **გამოდის რომ თვით გლეხობა, როგორც კლასსი, არა თავისუფლდებოდა; თავისუფლდებოდა მხოლოდ ბურჟუაზია და ის ცალკე გლეხნი, რომელნიც-კი ბურჟუაზიის კლასში გადადიოდნენ.** ბრძოლით კი ყველანი იბრძოდნენ.

ასე იყო თუ ისე, ბურჟუაზიამ თავისუფლება და დამოუკიდებლობა მიიღო (ზოგგან მეტად, ზოგგან ნაკლებად) და დაიწყო მუნიციპალური ცხოვრება. მაგრამ ამ დამოუკიდებლობამ დიდხანს არ გასტანა. სანამ ბურჟუაზია ფეოდალიზმს ებრძოდა, კოროლის და ამათი ინტერესები ერთდებოდნენ, როდესაც კი ფეოდალიზმი დამარცხდა და კოროლმა ფეხი მოიმაგრა, მაშინ ბურჟუაზიისაკენ მიიტანა იერიში. რასაკვირველია, ეს საქმე უცებ არ მოხდა. ცვლილება სრულიად შეუმჩნევლად მოხდა. ჯერ კიდევ 1302 წელს, როდესაც ფილიპპე ლამაზმა გენერალური შტატები შეჰკრიბა პაპის ბონიფაცის წინაამდეგ ბრძოლის გამო, ერთი გამოჩენილი ლეგისტი, რომაელთა კანონების მცოდნე, რომელიც ბურჟუაზიიდან იყო გამოსული, იმას მარჯვენა ხელად გაუხდა ამ ბრძოლაში. ეს დასაწყისი იყო ბიუროკრატიზმისა. შემდეგში ეს ლეგისტები ტანტის ბურჯებად და როგორც ბურჟუაზიის, ისე სხვა წოდებების მტრებად გადაიქცნენ. რაც შეეხება ბურჟუაზიის შინაგან საქმეს, კოროლმა მალე მოინდომა იმის ხელში ჩაგდება. ყველამ ვიცით, რომ ბურჟუაზიამ მიიღო თუ არა თავისუფლება, თავისებურად მოაწყო ქალაქის ცხოვრება: დააარსა ამქრები, კორპორაციები და სავაჭრო კავშირები. თვითოეული ამისთანა ორგანიზაცია თავის შინაგან საქმეში დამოუკიდებელი იყო და თავის წარმომადგენელის საშუალებით იღებდა მონაწილეობას ქალაქის მართვა-გამგეობაში. არც ერთ ამ ორგანიზაციას გარეშე კონტროლი არა ჰქონდა; მაგალითად, ხელოსანთა ამქრებს თვით ჰქონდათ ჩაბარებული სავაჭროდ დამზადებულ საქონლის ავ-კარგობაზე თვალ-ყურის ჭერა.

---

*) იხ. "ცნ. ფურც." № 2062

ზალცბურგიდან ამბავი მოვიდა, პრინცესასთვის ერთი სასახლე დაამზადეს და მშობიარობის შემდეგ პრინცესა ამ სასახლეში დასახლდებაო.

საფრანგეთი. გერმანიის იმპერატორსა და გერმანულ სოციალ-დემოკრატთა პარტიას შუა ბოლოს დროს დიდი ბრძოლა ასტყდა. დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ბრძოლას, ამიტომ ყველანი დიდის ინტერესით ადევნებენ თვალ-ყურს, თუ როგორ წავა საქმე, ვინ გაიმარჯვებს და ვინ დამარცხდება. საფრანგეთის სოციალისტების მეთაურს ჟორესს ამ საქმეზე წერილი დაუბეჭდია გაზ. „პტი რეპუბლიკ"-ში. ჟორესი ამბობს: გერმანიის იმპერატორი და სოციალ-დემოკრატები ძლიერ გადაეკიდნენ. ხმა დადის, იმპერატორს განზრახვა აქვს, საყოველთაო საარჩევნო უფლება გააუქმოს და ამით სოციალ-დემოკრატების ძალას ბოლო მოუღოსო. მართლაც, ბრძოლა იმპერატორსა და სოციალ-დემოკრატებს შუა ისე გამწვავდა, რომ იმპერატორმა ორში ერთი უნდა აირჩიოს: ან სოციალ-დემოკრატების პარტიის ძალას როგორმე ბოლო მოუღოს, ან არა და თავისს ძალმომრეობაზე ხელი უნდა აიღოს და სოციალ-დემოკრატებს შეურიგდეს. მაგრამ არა მგონია, იმპერატორი ამ მეორე გზას დაადგეს. უფრო მოსალოდნელია, იმპერატორმა საყოველთაო საარჩევნო უფლება მოსპოს და ამით სოციალ-დემოკრატიის პარტია დასცეს. მაგრამ შეიძლებს ამ საქმეს იმპერატორი, თუ ვერა? გერმანიის ხალხი კარგა ხანია ჰსარგებლობს ამ უფლებით და განა მოითმენს, ეხლა ეს უფლება მოესპოს?

ჟორესი ამტკიცებს, რომ საფრანგეთში ამისთანა რეფორმა დიდ არეულობას გამოიწვევდა, რადგანაც საფრანგეთის ხალხმა საყოველთაო საარჩევნო უფლება დიდის ბრძოლის შემდეგ მოიპოვა და ისე შეეჩვია ამ უფლებას, რომ ეხლა ვეღარავინ ვეღარ წაართმევსო. სულ სხვაა გერმანიაში. იქ საყოველთაო საარჩევნო უფლება ხალხს ძალით როდი შეუძენია. იქ ეს უფლება მეფემ უბოძა ხალხსა. მართალია, როცა 1867 წ. ჩრდილოეთ-გერმანიის სახელმწიფოთა კავშირს აწესებდა, პრუსიის მონარქია იძულებული იყო ხალხის დემოკრატიულ გრძნობისათვისაც ყურადღება მიექცია და საყოველთაო საარჩევნო უფლება დაეწესებინა; პრუსიამ მხოლოდ ამ უფლების მიცემით შეიძლო გერმანიის სახელმწიფოების შეერთება თავისს უფროსობის ქვეშ. ამ თვალით რომ შევხედოთ საქმეს, გერმანიაშიაც ისტორიულმა აუცილებლობამ გამოიწვია საყოველთაო საარჩევნო უფლების დაწესება. მაგრამ პრუსიის მეფეს და გერმანიის იმპერატორს მაინც შეუძლიან ამ უფლებას ისე შეჰხედოს, როგორც ნაბოძებ უფლებას. ამიტომ იმპერატორს შეუძლია ეს ნაბოძები უფლება წაართვას კიდეც ხალხს.

ამის შემდეგ ჟორესი აღნიშნავს, თუ რა დიდი განსხვავებაა საფრანგეთის პარლამენტსა და გერმნიის რეიხსტაგს შუა. გერმანია იმპერიაცაა და ამავე დროს ცალკე სახელმწიფოთა ფედერაციული კავშირიც. თვითეულ სახელმწიფოს თავისი საკუთარი კანონები და საარჩევნო კრებები აქვს. ამ სახელმწიფოებში საყოველთაო საარჩევნო უფლება ჯერ არაა დაწერილი. ერთის სიტყვით, გერმანიის პოლიტიკური ცხოვრება ამ უფლებაზე არაა დაფუძნებული, ამიტომ ამ უფლების მოსპობა გერმანიაში უფრო ადვილია, სინამ საფრანგეთში. ჟორესი ასე ათავებს: „დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანიაში ატეხილ ბრძოლას. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ბედი მჭიდროდაა დაკავშირებული საყოველთაო საარჩევნო უფლების ბედთან!

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 7 თებერვალს, ტფილისის გუბერნატორმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ კავკასიის მთავარ-მართებელმა შეუძლებლად სცნო **თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის ქალაქის მოურავის თანამდებობაზე დამტკიცება** და ამიტომ, რაც შეიძლება მალე, მოახდინეთ საბჭოს კრება ახალის კანდიდატის დასასახელებლად და ამოსარჩევადო. გუბერნატორის მოწერილობა ორშაბათს, 10 თებერვალს, საბჭოს მოხსენდება.

◆ **ბრიუსელიდან** გვწერენ: ბრიუსელის ახალ უნივერსიტეტში ელიზე რეკლუმ დაიწყო კონფერენციების წაკითხვა კავკასიაზე. უკვე სამი კონფერენცია იყო და კიდევ იქნება. უკანასკნელი კონფერენცია საკუთრად ქართველებზე წაიკითხა.

◆ **ცუდი ღვინის წინააღმდეგ** საბრძოლველი წესები შეიმუშავა მეღვინეობისა და მევენახეობის საზოგადოებამ მოსკოვში. ამ წესების პროექტი კავკასიის სამეურნეო საზოგადოებასაც მოუვიდა. საზოგადოებამ კომისია აირჩია, რომელიც სულ უარს ჰყოფს მოსკოვის კომიტეტის აზრს ღვინოზე ბაჟის ბანდეროლი იქმნეს შემოღებული, რომ სიყალბე მოისპოსო. ამ გზით ღვინით ვაჭრობა უფრო შეწუხდება, აქციის უწყებას შემოსავალი მოემატება და ღვინის სიყალბე მაინც არ მოისპობაო. მწარმოებელი და მყიდველი მხოლოდ მაშინ აცდება ღვინის სიყალბეს, თუ თვითონ მეღვინეობის პირობებს შევცვლითო—ამბობს კომისია—და მივიღებთ შემდეგ საშუალებათ: მეღვინეობის ტეხნიკა გაუმჯობესდეს, გზები გაიმართოს, რომ მწარმოებელსა და მყიდველს ერთი მეორესთან თავისუფალი მიმოსვლა ჰქონდეს; წვრილი კრედიტი დაარსდეს და საზოგადოდ სოფლის ცხოვრება გაუმჯობესდესო.

რაც შეეხება იმასა, რომელ ღვინოს უნდა ვუწოდოთ ნამდვილი ღვინოო, კომისიამ ასე სთქვა: ნამდვილი ღვინო ისაა, რასაც მივიღებთ ყურძნის წვენის დუღულითაო და ამის მეტი არავითარი ნივთიერება შიგ არ იქმნება შერეულიო.

◆ 30-მდე ფარმაცევტს უთხოვნია ტფილისის გუბერნატორისათვის, ტფილისში **აფთიაქის გახსნის** ნება მოგვეცითო. ამათგან 8 კაცი მაგისტრია ფარმაციისა, ერთიც დოცენტია თურმე. ზოგი დიდუბეში გახსნის ნებას თხოულობს.

◆ გასულ ზაფხულს ქალაქის სასანიტარო ექიმმა რკინის გზის სადგურზე ვაგონშივე დაიჭირა რუსეთიდან მოტანილი **პურის ფქვილი**, დაჰბეჭდა და ნიმუშები ქალაქის საქიმიო ლაბორატორიას გაუგზავნა გამოსაკვლევად. ლაბორატორიამ შეატყობინა, რომ ფქვილში უვარგისი ნივთიერებანიც ურევია და სახმარებლად გამოუსადეგარი ფქვილიაო. საქმე სასამართლომდე მივიდა. ფქვილის პატრონმა ითხოვა, ნიმუშები ოდესის უნივერსიტეტის ლაბორატორიას გაეგზავნოს გამოსაკვლევადაო. გაუგზავნეს და ამ დღეებში იქიდან ცნობა მოვიდა: ფქვილში ისეთი ნივთიერება არ ურევია, სახმარებლად ფქვილი არ ვარგოდესო. 11 თებერვალს მომრიგებელი მოსამართლე ხელ-ახლად გაარჩევს ამ საქმეს.

◆ პოლიციის მეოთხე ნაწილში, 6 თებერვალს, საღამოთი, სათადარიგო ჯარის კაცი დიმიტრი სალდათოვი შესულა თავისს ცოლთან, რომელიც მოსამსახურედ ყოფილა ფალიაშვილთან, ამოუღია დანა და, რაც ძალი და ღონე ჰქონია **ჩაუცია მუცელში**. ქალი მაშინვე წაუყვანიათ მიხეილის სამკურნალოში, მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ გარდაცვლილა. მკვლელი დააპატიმრეს.

◆ გუშინ, 6 თებერვალს, სამკურნალო საზოგადოების თავმჯდომარემ, ამ საზოგადოების კრების დადგენილების თანახმად, სთხოვა ქალაქის გამგეობას გადასდოს ფული **ხუნაგთან საბრძოლველად** და ღარიბ მცხოვრებთათვის წამლების მისაწოდებლად. სთხოვა აგრეთვე, ქალაქმა დააჩქაროს საბაქტერიოლოგო სადგურის აგება. გამგეობამ ამის შესახებ მოხსენება საბჭოს უნდა წარუდგინოს.

◆ ტფილისის სამოსამართლო **პალატის წევრს ბ-ნ ხომთოვს** სამსახურიდან დათხოვნის ქაღალდები მიუცია, როგორც გვითხრეს.

◆ გუშინ ღამ ორი მაღაზია გაუტეხიათ და გაუძარცვავთ ღამის ოსტატებს—ერთი გურგენოვისა და მეორეც დარაჟნოვისა; ორივე მეზობლად არიან სოლოლაკის ქუჩაზე. გუშინ დილით გურგენოვის ნოქარი უფრო ადრე მისულა მაღაზიაში. გაუღია კარები და შესულა თუ არა მაღაზიაში, დახლი გატეხილი უნახავს, დახლის ფული 30 თუმანი წაეღოთ. მერე შემჩნევია—ჭერი გამოეჭრათ და იქიდან ჩამოსულიყვნენ ქურდები. დახლიდან ამოეღოთ კუპონები და სავაჭრო ანგარიშები, მაგრამ ყველა ესენი ჭერში დაეყარათ, თუ დასცვივნიათ. რკინის კასისათვის ხელი არ უხლიათ. მეზობლად, დარაჟნოვის მაღაზიაშიაც ჭერი ორ ადგილას გაეჭრათ: ერთი ადგილით ზედ მაღალ შკაფის თავზე მოსულა და ვერ მოუხერხებიათ იქიდან ჩამოსვლა, მერე მეორე ადგილი გამოუჭრიათ. აქაც დახლი გაუტეხიათ და 80 თუმნამდე ფულად წაუღიათ. ჯერ არ იციან, საქონელი წაუღიათ თუ არა. გუშინ დილითვე პოლიცია და გამომძიებელი მივიდნენ ადგილობრივ გამოსაძიებლად. გზა-კვალი ქურდებისა ჯერ არ იციან.

◆ ღამით თავ-შესაფარისათვის დიდუბეში 50 საწოლი შეუძენია ქალაქს.

◆ 17 თებერვლისათვის კავკასიის სამხედრო უწყების სანტენდანტო სამართველოში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა იმათთათვის, ვისაც შეუძლიან წელს სამხედრო უწყებისათვის 100,000 ფუთი ქერი იშოვნოს.

◆ 6 თებერვალს საროსკიპო სახლის პატრონს, სოფიო ბაკაშვილს, განუცხადებია პოლიციაში, რომ ღამე ჩემს სახლში მომიხვდა არტემ მიქელოვი და მომინდომა მოკვლაო. ჯერ ლამპა ჩამოაგდო და დაამტვრია, შემდეგ სკამით მომვარდა და დამიწყო ცემა, მაგრამ სხვებმა გადამარჩინესო. პოლიცია საქმის გამოძიებას შეუდგა.

◆ ავლაბარში მეეზოვეს შეუნიშნავს, რომ ერთი კაცი ყუთით ხელში ფურგუნიდან გადმოხტარა. როცა მეეზოვე მისულა, უცნობი კაცი გაქცეულა და ყუთი იქვე დაუგდია. ყუთში ზინგერის მაშინა აღმოჩენილა თურმე.

◆ ქალაქის საყასბოს გამგეს ანგარიშიდანა სჩანს: იანვარში საყასბოში დაუკლავთ სსხვილ-ფეხა საქონელი 5024 თავი, ხბო—560, ღორი—4307 და ცხვარი—8550 თავი.

პატარა დღიური

მადლობა ღმერთს, გათავდა შავი-ქვის მრეწველთა კრება და მეც მეღირსა „პატარა დღიურის" განახლება. მთელი სამი კვირაა კრინტი არ დამიძრავს, სულ კი ამ დაწყევლილ კრების გამო. რამდენიც ავიღე კალამი ხელში, იმდენი რედაქტორმა გამომიცხადა: ჰა, არ დაგავიწყდეს, რომ გახლავს „შავი ქვის დღეობაა" და უეჭველად შავქვაზე უნდა სწეროო. დალახვროს ეშმაკმა, რა გახდა ეს რაღაც შავი ქვა! ამ ჯადოსანმა ქვამ მთელ ჭიათურას შავი სუდარა გადააფარა, მაგრამ ამასაც არ დასჯერდა, ტალღები ქუთაისში გადაისროლა, იქიდან მთელი კავკასია აავსო და თავის ამბებით გაზეთების ფურცლები გამოსჭედა.

გამოტეხილი უნდა მოგახსენოთ, მკითხველო, რომ მეტად გაფაციცებით ვადევნებდი თვალ-ყურს კრებას, გულ-დასმით ვკითხულობდი ანგარიშებს, მაგრამ მაინც შავ-ქვასა და იმის კრებას ვერც თავი გავუგე და ვერც ბოლო. აბა კი როგორ გავიგებ, როდესაც კრებაზე შავი-ქვის ნაცვლად სულ სხვა საგნებზე ლაპარაკობდნენ, ხოლო მრეწველთა მაგიერ ექიმები, ვექილები, ურითმო პოეტები, უხეირო მეფელეტონენი და ქუთაისის ბულვარის მოტრფიალენი მსჯელობდნენ? აი, ძვირფასო მკითხველო, ეს იყო მიზეზი, რომ კრებისა ვერც თავი გავიგე და ვერც ბოლო.

შეიძლება, მე რომ ბ-ნ თოფურიძესავით ეგრომა მომეგვლოს და იქაური ანა-ბანა მესწავ-

---

ეს საქმე იმათ სინიდისზე იყო მიგდებული და მართლაც მაშინ უვარგის საქონელს იშვიათად გამოიტანდნენ გასასყიდად. მხოლოდ შემდეგში, როდესაც ხელოსნებსა და მათ თანაშემწეთა შორის დამოკიდებულება გამწვავდა, უწინდელი ძმობა უფროს-უმცროსობად გადაიქცა და გაჩნდა ორი სხვა-და-სხვა კლასსი, როდესაც თვით ხელოსნებს შორისაც გამოირჩნენ შეძლებულნი, რომელთაც რამდენიმე სახელოსნო ერთად შეაერთეს, თავის მასალაზე ამუშავებდნენ სხვებს და თვითონ კი ფულსა ჰხვეტავდნენ, მაშინ ფულის მოხვეჭის სურვილის გავლენის ქვეშ ზნეობა უფრო წახდა და ცუდი საქონელიც გავიდა ბაზარში გასასყიდად. ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ ხელოსანი სცდილობდა თავისი თანაშემწე, ანუ შეგირდი დიდხანს ემუშავებინა მუქთად და ყოველ ღონისძიებას ხმარობდა ჯამაგირი დაეჭირა რაიმე საბუთით: ან ჯარიმას გადაახდევინებდა დაგვიანებისათვის, ან სამუშაო დღეს არ ჩაუთვლიდა ცუდის მუშაობის საბუთით, ხან ხელოსნობის მოწმობას არ აძლევდა, როცა დრო იყო, სანამ შეგირდი ქრთამს არ მისცემდა. რასაკვირველია, შეგირდიც თავისას სცდილობდა და ბევრჯელ ცუდ საქონელს ამზადებდა, რომ საჩქაროდ გაეთავებინა და ბევრი არ ემუშავნა თავის ოსტატის სასარგებლოდ. რა-კი საქმე ასეთ მდგომარეობაში იყო, რომ გახშირდა ცუდი საქონლის გასაღება, სახელმწიფოს კაი შემთხვევა მიეცა ჩარეულიყო კორპორაციის შინაგან ცხოვრებაში. და არც დიდ ხანს დაახანა: მან დააარსა ზედამხედველი პოლიცია საქონლის ავ-კარგიანობის გასასინჯავად. უიმათოდ ამის შემდეგ საქონელს ვერავინ ვერ გამოიტანდა გასასყიდად.

რაც დრო გადიოდა, ორ ახლად გაჩენილ კლასთა შორის, ანტაგონიზმი უფრო-და-უფრო მწვავდებოდა, რადგანაც აღებ-მიცემობის განვითარება ამდიდრებდა უფრო და უფრო მოვაჭრე კლასს, ხელოსნებს კი უფრო და უფრო აღარიბებდა. ამასთან ერთად მრავლდებოდა ყალბ საქონლის რიცხვი. კოროლის უფლებაც თან-და-თან ძლიერდებოდა, იგი უფრო და უფრო ხელში იგდებდა ცხოვრების ყოველ მხარეს. ბურჟუაზია, რასაკვირველია, წინააღმდეგობას უწევდა. ეს წინააღმდეგობა პოლიტიკურ ცხოვრებაში სჩანდა. მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე საუკუნეში, როდესაც გენერალური შტატები არსებობდნენ, სამსავე წოდებას და კოროლს თანასწორი უფლება ჰქონდათ, მაგრამ კოროლი სცდილობდა ყველას გაჰბატონებოდა და სახელმწიფოს მართვა ხელში ჩაეგდო. ბურჟუაზიაც, რომელიც თავის მხრივ გაბატონებას ლამობდა, თავის წარმომადგენლების შემწეობით ებრძოდა კოროლის ასეთ მისწრაფების განხორციელებას. პარლამენტში ბრძოლის დროს კოროლს მხარს უჭერდნენ ახლად შექმნილი ბიუროკრატია, ეგრედ წოდებული ლეგისტები, რომელნიც ამბობდნენ, რომ რომის კანონმა იცის მხოლოდ ერთგვარი მმართველობა: განუსაზღვრელი იმპერია. და თვითონაც იმპერიის დაარსებას სცდილობდნენ. გარდა ამ ლეგალური ბრძოლისა, ბურჟუაზია უკანონო ბრძოლასაც არ უფრთხოდა: როდესაც პარლამენტში პეტიციას შეიტანდა ამა თუ იმ ორგანიზაციის ან მუნიციპალიტეტის თავისუფლების დასაცველად და ამ პეტიციაზე უარი მოუვიდოდა, ბევრჯელ აჯანყებას მოახდენდა ხოლმე და არა ერთხელ და ორჯელ დაღვრილა სისხლი ამისთანა ბრძოლის დროს. ბრძოლამ პირველად გამწვავებული ხასიათი 1356—7 წლებში მიიღო; მეორედ 1358—9 წლებში. ამას მოჰყვა საშინელი აჯანყება 1412—13 წ. აქ ბურჟუაზიას უნივერსიტეტიც შეუერთდა და 1413 წლის აჯანყებამ თითქოს გააუმჯობესა კიდეც უნივერსიტეტის და მუნიციპალიტეტის თავისუფლება: 25 მაისს კოროლმა გამოსცა ორდონანსი, რომლის ძალითაც ბურჟუაზიას რამდენადმე წადილი უსრულდებოდა, მაგრამ სამის თვის შემდეგ ამ ორდონანსმა ძალა დაჰკარგა, რადგანაც ის მეფე, რომელმაც ეს ორდონანსი გამოსცა, მოკვდა და ლუდოვიკო მე XI შემდეგ კი დადგა საშინელი რეაქცია. ბურჟუაზიამ ამ კოროლს არა თუ ვერაფერი ვერ გამოსტხოვა, პირ-იქით, იძულებული იყო დამორჩილებოდა. ამ მეფისა და ბურჟუაზიის ინტერესების წინააღმდეგობის დასახასიათებლად ტიერი აი რას ამბობს: „ინდუსტრია ჩაკეტილი იყო კორპორაციებში, რომელიც დაიბადა ქალაქების აღორძინების შემდეგ და იყო სრულიად მუნიციპალური; ლუდოვიკო მეთერთმეტეს კი უნდოდა იგი ნაციონალური გაეხადნა".

ბოლოს, როგორც ვიცით, ეს ბრძოლა აბსოლიუტიზმის სრული გამარჯვებით გათავდა. გენერალური შტატები გაუქმდა. კოროლი თვითონ თავის მინისტრებით ჰფიქრობდა და ზრუნავდა ქვეყნისათვის. მესამე წოდებამაც წარმომადგენელი დაჰკარგა და ეხლა ვეღარავინ იბრძოლებდა პარლამენტში იმათის ინტერესების დასაცავად. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ბურჟუაზიის წარმომადგენლებს მესამე წოდების წარმომადგენლებს ეძახდნენ. მესამე წოდებაში კი, შედიოდა ეხლა სამი კლასი: ქალაქის ახალი კაპიტალისტნი (ვაჭრები), ქალაქის მუშები და სოფლის გლეხ-კაცობა. ყველას ისე ეგონა, რომ ბურჟუაზია ამ სამივე კლასისათვის იბრძვისო. ბურჟუაზიასაც ასე ეგონა. თავის თავს ის დემოკრატიას ეძახდა და ეგონა, რომ უმრავლესობის უფლებებისთვის იბრძოდა. ნამდვილად კი, როგორც დავინახეთ, ამ სამ კლასს შორის სრული განხეთქილება იყო, მეტადრე მაშინ, როდესაც ბურჟუაზიამ მამულებიც შეისყიდა და სოფელშიაც გაბატონდაც ფეოდალთან ერთად. ეს წინააღმდეგობა გამოჩნდა ჯერ გლეხების აჯანყების დროს, რომელიც რამდენჯერმე მოხდა ამ ხნის განმავლობაში და უფრო ნათლად გამოჩნდა მეთვრამეტე საუკუნეში საზოგადოდ და კერძოდ საფრანგეთის რევოლიუციის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოს, მაშინ გამეგო რამე შავი ქვისა და კრებისა. ამ შემთხვევაში არც გაგება და არც მესწავლა იქნებოდა საჭირო. ავიღებდი და „ჯგვალის" ამ ენა-წყლიან პუბლიცისტსავით მრეწველთა კრებას გერმანიის პარლამენტს შევადარებდი, ქემ ჭიჭინაძეს ბებლად გამოვაცხადებდი, ქვარიანს—რიხტერად, ხოლო ჩემ საკუთარ თავს—კაუტსკად. ჭო და, რაკი აქამდე მივიდოდა საქმე, აღარც ის გამიჭირდებოდა, რომ ბ-ნნი ბერნშტეინი და ფოლმარი ფრჩხილებში ჩამესვა და მიწასთან გამესწორებინა ეს ვაჟბატონები, სწორედ ისე, როგორც პატივცემული თოფურიძე მილიერანსა და ჟორესს მოექცა. ბოლოს პატეტიურის კილოთი წამოვიძახებდი ხალხის საყურადღებოდ: შეჰხედეთ, ჩვენი მოწინააღმდეგენი როგორ ჰღალატობენ დემოკრატიას და თავსა სდებენ ბურჟუაზიისათვისაო!..

სამწუხაროდ, ზენამ არც იმავე „ჯგვალ"-ის მეფელეტონის ი. მარჯანიძის ნიჭით დამაჯილდოვა. იმასავით დიდის ფანტაზიის პატრონი რომ ვიყო და ჭაერში ფრენა მიყვარდეს, ტფილისიდან ოცნების თვალს გადავავლებდი ჭიათურას, ტყეშლების და ჭორების მშვენიერ კონას შევკრავდი და ხმა მაღლა დავიძახებდი, აბა უყურეთ, რა კაცი ყოფილა ზდანოვიჩი-მეთქი!..

ნაკლებ დღეს ეს მეფელეტონე არც დრამატიულ საზოგადოების გამგეობასა და იმ კომისიას აყრის, რომელთაც საპრემიოდ წარდგენილი პიესები განიხილეს. ნუ თუ,—გაკვირვებით გაიძახის იგი,—გამგეობამ და კომისიამ საპრემიოდ წარდგენილ 19 პიესაში ვერც ერთი ვერა სცნეს პრემიის ღირსადაო! აი, ბატონებო, სამართლიანი საყვედური თუ გნებავთ, ეს არის. ბ-ნ მარჯანიძის ლოღიკით, კომისიას 19 სუსტ პიესიდან უეჭველად უნდა გამოეჩხრიკნა ერთი კარგი პიესა და პრემია მიესაჯა. ასეთ სასწაულს მარჯანიძისთანა ოცნების პატრონი თუ შესძლებს, თორემ სხვას ვისა აქვს ამის ძალა და ღონე!

⁂

მაგრამ გავანებოთ თავი ამ უცნაურ მარჯანიძეს, ჭიათურასა და შავ-ქვას და ისევ ჩვენ ტფილისს დაუბრუნდეთ. დალოცვილმა თოფურიძემ მოისურვა ჩვენის ცხოვრების ევროპასთან შედარება და ისეთი შემთხვევა-კი ხელიდან გაუშვა, როგორიც ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის და იმისი ათჯერ გადაყენებული და ათჯერვე არ გადამდგარი დირექტორი ოჯანეზოვი. ამ სასწავლებლის საქმე სწორედ გაზეთ „ფიგაროს" საქმეს მაგონებს.

მკითხველებს ახსოვთ ეს საქმე. ამ გაზეთის პატრონებმა ერთის თუ ორის წლის წინად რედაქტორი თანამდებობიდან გადააყენეს და რედაქციიდან სრულიად დაითხოვეს. მაგრამ მამაცმა რედაქტორმა წარბიც არ შეიხარა და არამც თუ არ წავიდა, შიგ შუაგულ რედაქციაში ტახტიც-კი დაიდგა და არხეინად მოიკალათა ზედ. საჩივრებისა და დავიდარაბების შემდეგ ძლივს განაძევეს ეს ძალად მაცხოვრე რედაქტორი.

სწორედ ასევე იქცევა ინჟინერი ოჯანეზოვი. სასწავლებლის კომიტეტმა ჯერ ზრდილობიანად გამოუცხადა, თუ შეიძლებოდეს თანამდებობა დაჰტოვოთ, მაგრამ ახირებულმა ინჟინერმა ეს საქმე შეუძლებლად სცნო. მას შემდეგ კომიტეტი ქაღალდს ქაღალდზე უგზავნის, ბრძანებას ბრძანებაზე, ხშირად მუქარასაც უთვლის, მაგრამ ოჯანეზოვმა ისე მაგრა მოიკალათა, რომ იმის ადგილიდან დაძვრა ყოვლად მოუხერხებელი შეიქმნა. ძალიან თბილი და ტკბილი უნდა იყოს დირექტორის თანამდებობა, რომ ასე ტკიპივით მიჰკვრია ბ-ნი ოჯანეზოვი. კომიტეტმა ჯამაგირიც მოუსპო, მაგრამ ეს საოცარი დირექტორი მაინც არ იცვლის ფეხს...

ხასიათის სიმაგრე და სიმტკიცე ასეთი უნდა!

Spectator

თეატრი

ქართული წარმოდგენა. ახალ დრამატურგებში, იმ ახალ დრამატურგებში, რომელნიც გვისურათებენ დღევანდელ ცხოვრებას და მასთან ახალის საშუალებით, რომელნიც წარმოგვიდგენენ სცენაზე ცხოვრების ისეთს იდუმალ მხარეებს, რომელთაც წინად ყურადღებას არ აქცევდა დრამა, ზუდერმანს ყველაზედ დაბალი და მცირე ადგილი უკავია. ზუდერმანის პიესებში არ არის არც აღმაფრენა, არც ადამიანის სულში ღრმად ჩახედვა, არც ორიგინალობა. ზუდერმანი საუცხოვო მცოდნეა სცენის მოთხოვნილებისა და უფრო პიესების მკეთებელია, ვიდრე შემოქმედებითის ნიჭის პატრონი. ფხიზლად უგდებს ყურს საზოგადოების საჭიროებას და ეხება იმ კითხვებს, რომელთაც კარგად თხოულობენ ბაზარში. თუ აქა-იქ შეეხო დღევანდელ ბურჟუაზიას, მხოლოდ ნაზად და ფრთხილად, რომ არ გაეჯავრებინა ცხოვრების ბატონები. მან ვერ შესძლო იბსენისა და ჰაუპტმანსავით ბასრი მახვილები ჩაეცა გულში ბურჟუაზიულ წესწყობილებაზე აგებულ გახრწნილ ცხოვრებისათვის, ვერ გამოიჩინა ამისათვის ვერც გამბედაობა და ვერც დამოუკიდებლობა.

ერთად-ერთი პიესა, რომელშიაც შედარებით უფრო რადიკალურად დააყენა კითხვა ზუდერმანმა, არის „მაგდა" („შინ"). აქ გამოყვანილია ახალის ცხოვრების შვილის თავისუფალ და დამოუკიდებელ მაგდას ბრძოლა დახავსებულ და სულის შემხუთავის ოჯახურ და საზოგადოებრივ ტრადიციებთან, იმ ტრადიციებთან, რომელნიც თხოულობენ მაგდასაგან საყვარელი შვილის განწირვასაც, რაღაც ფუჭი „სახელის" აღსადგენად. „მაგდა" საუკეთესო პიესაა ზუდერმანისა; მეტად გამაცოცხლებელ და გამამხნევებელ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებლებზე.

საუბედუროდ, ჯერ ვერ ველირსეთ ჩვენს სცენაზე ამ პიესის ნახვას, თუმცა წელს უკვე მესამე პიესა ითამაშეს ზუდერმანის ქართულ თეატრში. მაინც და მაინც არც „სოდომის წარღვნა" და არც „პატიოსნება" არ მოსწონებია საზოგადოებას; კიდევ უფრო ნაკლები შთაბეჭდილება იქონია ხუთშაბათს წარმოდგენილმა „მიკუნჭულმა ბედნიერებამ". მართლაც ეს კომედია ყველა უფრო სუსტი ნაწარმოებია ზუდერმანისა. შიგ საინტერესო ფსიხოლოგიური მომენტია აღებული, მაგრამ პიესა უფრო ესკიზს ჰგავს, პატარა მოთხრობას; შიგ სუსტად არის დასურათებული ხასიათები და ძლიერ ცოტაა დრამატიული მოქმედება.

მასწავლებელი ვიდემანი (ბ. გუნია) და მისი ცოლი (მეორე) ელისაბედი (ქ. კარგარეთელი) ბედნიერად ცხოვრობენ თავისს კუნჭულში ერთ-ერთს მიყრუებულ სამაზრო ქალაქში. მაგრამ წინად ელისაბედი თავისს ნათესავის ბარონ რეკნიცის ოჯახში სცხოვრობდა. იქ მას ეარშიყებოდა ბარონის ვაჟი (ბ. მესხი), რომელმაც კინაღამ გაიტაცა, მხოლოდ ელისაბედმა თავს უშველა და ვიდემანის სახლში მოიპოვა თავშესაფარი და მშვიდობიანობა. სამის წლის შემდეგ ვიდემანისას მოდის რეკნიცი, ვიდემანს მოურავის ადგილს ჰპირდება, უნდა ელისაბედი თავისს სახლში გადაიყვანოს, დაეპატრონოს და საყვარლად გაიხადოს. მისი სიყვარულის სიტყვები წარიტაცებენ ელისაბედს, გადაეხვევა ბარონს და მიყვარხარო, ეტყვის. მაგრამ მალე გონს მოვა და მზად არის თავი დაიხჩოს, ვიდრე რეკნიცს; ჩაუვარდეს ხელში. ყველაფერს ამას გაიგებს ვიდემანი; მამობრივის სიყვარულით ამშვიდებს ცოლს: ვერსად ვერ იპოვი უკეთეს თავშესაფარს, როგორც ჩემს სახლში; ვერავინ ვერ დაგიფარავს ბარონისაგან, როგორც მე, და ხვალ დილიდან ჩვენი სახლი გაწმენდილი იქნებაო.

ეს არის მოკლედ შინაარსი „მიკუნჭული ბედნიერებისა".

აქტიორების თამაში საერთოდ მწყობრი იყო. მშვენიერი პოეტიური სურათი დაგვიხატა ქ. ლეჟავამ წმინდა და უმანკო არსების ბრმა ელენეს როლში, რომელიც ინსტიქტიურად ჰგრძნობს ყოველგვარ სისაძაგლეს. ცოცხლად და რეალურად თამაშობდა ბ. მესხი; ძალიან ეხერხებოდა გაშმაგებული, გაპირუტყვებული, სისხლით გაჟღენთილი გერმანელი იუნკერი, რომელიც მზათაა ყველაფერი გადათელოს პირადის სიამოვნებისათვის.

ზუდერმანის კომედიის შემდეგ წარმოადგინეს ვოდევილი „დუელი", რომელსაც მეორედ თამაშობენ წელს. რისთვის?

გ.

დღეს, 8 თებერვალს, სახალხო თეატრში ავჭალის ქუჩაზე, დრამატიულ დასის ზოგიერთთა არტისტების მონაწილეობით, სცენის მოყვარენი წარმოადგენენ გ. გუნიას კომედიას „ძალადმართსა ჰხნავს".

სასამართლო

ერვიეს მოკვლის საქმე

გუშინ, 7 თებერვალს, ოლქის სასამართლომ გაარჩია ტფილისის ვაჭრის ერვიეს მოკვლის საქმე. ბრალდებაში მიცემული იყო ორი კაცი—არუთინ აკოფოვი და სამსონ დანელია.

მკითხველებს უთუოდ ახსოვთ, რომ ეს მკვლელობა მოხდა 1901 წელს, 8 დეკემბერს, ღამე, ლაბორატორიის ქუჩაზე. როგორც გამოძიებით აღმოჩნდა, ერვიეს ორი ოთახი ეჭირა; რადგან იმისი ერთად-ერთი შვილი პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა, სახლში მხოლოდ ერთი მოსამსახურე პავლე კარსელაძე ჰყოლია. სახლი დაუმთავრებელი იყო და ერვიესა, იმის მოსამსახურესა და მეეზოვეს გორკის გარდა სახლში არავინ არა სცხოვრობდა. დამდამობით მეეზოვე და კარსელაძე, ერვიეს განკარგულებით, ერთ ოთახში იყვნენ ხოლმე. თვით სახლის პატრონი საღამოობით კლუბში დაიარებოდა, საიდანაც ღამის 11 საათზე ჰბრუნდებოდა ხოლმე. სახლში მყოფნი არ უცდიდნენ ერვიეს, რადგან იგი გასაღებს თან ატარებდა და სხვის დაუხმარებლად წვებოდა. მკვლელობის ღამეს გორკისა და კარსელაძეს საეჭვო ხმაურობა არა გაუგონიათ-რა; მეორე დღეს კი, როცა სახლის დასალაგებლად შესულან, ერვიე კარებთან უნახავთ ხელებ შეკრული და კისერში თოკ-წაჭერილი. ქუჩაში გასასვლელი კარები დაკეტილი ყოფილა. ერვიეს მთელი სახე დაკაწრული ჰქონია ფრჩხილებით; როგორც მინგრეულ-მონგრეულ ოთახს ეტყობოდა, დიდხანს უბრძოლნიათ ბოროტმოქმედთ. ქურდებს აეღოთ ოქროს საათი, ბეჭდები და სხვა ნივთები. იქვე პატარა სტოლი გაეღოთ და იქიდან წაეღოთ ფული და აგრეთვე ყველაფერი, რაც კი ძვირფასი უნახავთ. ფულის შესანახ რკინის შკაფის გატეხა სდომებიათ, მაგრამ ვერ მოუსწრიათ, თუმცა დიდხანს უწვალებიათ რკინის წვეტიან კეტით. მთელი ოთახი მოფენილი ყოფილა ძვირფასის ნივთების, სახვევებითა და ქაღალდის ყუთებით, სხვა-და-სხვა საბუთის ქაღალდებით. იქვე ოთახში უნახავთ ბოროტ-განმზრახველთაგან მოტანილი რკინის კეტი, გასაღები და სხვ.

საქმის გამოძიება მიუნდვიათ მე-10 ნაწილის ბოქაულის ტერ-გრიგორიევისათვის, რომლისთვისაც 1901 წლის 10 დეკემბერს საიდუმლო პოლიციის აგენტს გრიგოლ ჩიქოვანს უთქვამს: ზაფხულს, შუა-ბაზარში, მოვაჭრე ოქრო-მჭედელმა სამსონ დანელიამ წინადადება მომცა, გავქურდოთ ერთი „ფრანგი", რომელსაც ბევრი ფული და ნივთები უნდა ჰქონდესო. როგორც ჩიქოვანს უთქვამს, ამ ბოროტ-მოქმედებაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ ვიღაც მიხასა და ლევანს, რომელთა გვარები ჩიქოვანს არა სცოდნია. ქურდობის გეგმა უკვე შემუშავებული ყოფილა, როცა (ჩიქოვანის სიტყვით) დანელიასა და იმის ამხანაგებს შეუტყვიათ, რომ ჩიქოვანი საიდუმლო პოლიციის აგენტი იყო და თავი დაუნებებიათ იმისთვის. როცა ერვიეს მოკვლის ამბავი შევიტყე, სთქვა ჩიქოვანმა—მაშინათვე გავიფიქრე, ეს ბოროტ-მოქმედება უნდა ჩაედინათ დანელიასთან ერთად იმათ, რომელთაც მირჩევს ავაზაკობაში მონაწილეობა მიმეღო. მალე დავრწმუნდი კიდეც, რომ ბოროტების ჩამ-

---

III

მეთვრამეტე საუკუნეში თავი და თავი ბურჟუაზიული მოძღვრება იყო ფიზიოკრატების მოძღვრება, რომელმაც შესცვალა პროტექციონიზმი. ეს ორნაირი მოძღვრება იყო თავი და თავი მოძღვრება ბურჟუაზიის გაძლიერებიდან საფრანგეთის რევოლიუციამდე. პროტექციონიზმმა, რომელიც სწორედ რომ ვთქვათ, უფრო პრაქტიკული მიმართულება იყო, ვიდრე თეორიტიული მოძღვრება, დიდი გავლენა იქონია მაშინდელ ცხოვრებაზე. სახელმწიფო ამით სცდილობდა ვაჭრობა გაეფართოვებინა და მივიდა იქამდის, რომ ხალხი გაღარიბა და ბურჟუაზია უზომოდ გაამდიდრა. ამიტომ ის განხეთქილება, რომელიც ჩვენ უკვე წინად აღვნიშნეთ ბურჟუაზიასა და დემოკრატიის შორის, უფრო გაძლიერდა. გარდა ამისა პროტექციონისტები იქამდის გაიტაცა იმათმა თეორიამ, რომ ისინი ვაჭრობის მეტზე აღარაფერზე ჰფიქრობდნენ. სოფელზე ზრუნვას სრულიად თავი მიანებეს. ოღონდ ვაჭრობისათვის ხელი შეეწყოთ და სოფლელი მუშა ან მემამულე თუნდაც დაღუპულიყო. ისინი ვაჭრობას ერთად-ერთ სახელმწიფოს განმადიდებელ სახსრად სთვლიდნენ. რასაკვირველია, ეს უიმისოდაც ღატაკ გლეხებს უფრო აღატაკებდა, რადგან ყოველისავე საჭირო ნაწარმოების ფასი იწევდა.

ბოლოს პროტექციონიზმმა საქმე იქამდის მიიყვანა, რომ ბევრმა აშკარად დაინახა მისი ნაკლულევანება. როგორც პროტექციონიზმის რეაქცია, ახალი მოძღვრება შემოვიდა მაშინ ევროპაში: ფიზიოკრატების მოძღვრება. ესენი ცდილობდნენ პროტექციონიზმის ნაკლულევანება თავიდან აეცილებინათ და იმ აზრს ადგნენ, რომ სახელმწიფოს მხოლოდ სოფელი და იმისი ნაწარმოები ამდიდრებსო. ისინი სცდილობდნენ, მიწის კულტურა გაეუმჯობესებინათ, ინტენსივური კულტურა გაევრცელებინათ. ამასთან მეორე თავი-და-თავი პუნკტი იმათის სწავლისა იყო: laisser faire, laisser passer. ე. ი. ნურავის ნუ აუკრძალავთ ვაჭრობას, ვაჭრობის სრული თავისუფლება უნდა იყოსო. ეს ორი საფუძველი ჰქონდა ფიზიოკრატების სწავლას, მაგრამ რა გამოვიდა აქედან? ისა, რომ წინად დაწყებილი პროცესსი ღარიბთა გაღარიბებისა და მდიდართა გამდიდრებისა უფრო გაძლიერდა: საქმე ის არის, რომ იმ დროს, როდესაც ეს მოძღვრება ვრცელდებოდა ევროპაში, გლეხთა შორის წვრილი კულტურა იყო გავრცელებული და მსხვილი კულტურა მხოლოდ თავადთა მამულებში და ბურჟუაზიის მიერ ახლად შეძენილ მამულებში იყო. ინტენსივურ კულტურის შეტანა ამიტომ მხოლოდ ამ მამულებში შეიძლებოდა. გლეხის მამული კი არ უმჯობესდებოდა. ამ მდგომარეობაში, რასაკვირველია, კონკურენცია მხოლოდ გააძლიერებდა პროლეტარიატის გამრავლებას, რადგან გლეხი თავის პატარა მამულით ფეოდალის მსხვილ ფერმერს ან ბურჟუას ვერ გაუწევდა კონკურენციას. აი ეს იყო მიზეზი, რომ რევოლიუციის თითქმის წინა დღეებში ორი მინისტრის ტურგოს და ნეკკერის ცდამ ფუჭად ჩაიარა. ამ მინისტრებს ფიზიოკრატების პრინციპების განხორციელებით უნდოდათ დაეხსნა ქვეყანა კრიზისისაგან და ამ პრინციპების ნაკლი-კი ჩვენ აშკარად დავინახეთ. ამიტომ ამ მინისტრებმა ვერ დაჰყვეს დიდხანს მინისტრებად. იმათ გადაყენებას მოჰყვა რევოლიუცია, რომელმაც პირის-პირ შეატაკა იმ ორი კლასის ინტერესები, რომელნიც აქამდის თითქოს ხელი-ხელ ჩაკიდულნი მიდიოდნენ. ბურჟუაზიისა და დემოკრატიის მისწრაფების წინააღმდეგობა ისე აშკარად დაინახვა ყველას რევოლიუციამ, რომ აქ ეჭვი აღარ შეიძლებოდა.

რევოლიუცია გათავდა ბურჟუაზიის გამარჯვებით. ბურჟუაზია გაბატონდა და თავისი მოძღვრება განახორციელა. თავისუფალმა კონკურენციამ ბურჟუაზია უფრო გააძლიერა, ხოლო პროლეტარიატი უფრო ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა. ამ ბურჟუაზიულ რეჟიმს სერიოზული, მეცნიერული კრიტიკოსები მხოლოდ მაშინ გაუჩნდნენ, როდესაც ასეთ ცხოვრების შეუძლებლობა ყველამ დაინახა, როდესაც მეტად აშკარად გამოქვეყნდა ეკონომიური საფუძველი ამ რეჟიმისა. ეს მოხდა მაშინ, როდესაც მთელმა ევროპამ კრიზისი კრიზისზე გამოსცადა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევრის განმავლობაში. მიუხედავად ამისა ბურჟუაზიული მოძღვრება მაინც ძლიერდებოდა; იმან ფილოსოფიური საფუძველიც კი იპოვა. ეს იყო დარვინის სწავლა, რომელიც ბურჟუაზიულმა მეცნიერებმა თავისებურად ახსნეს და, როგორც უნდოდათ, ისე მოიხმარეს, თუმცა, როგორც ამბობს ვოლტმანი, თვით დარვინი ვერ მიდიოდა იქამდის, რომ თავის საბუნებისმეტყველო კანონზე რაიმე სოციალური კანონი დაეფუძნებინა. მაგრამ გავიდა მას აქეთ კაი ხანი და ბურჟუაზიამ ახალი ველარა შეჰქმნა-რა. თავის მოძღვრების კრიტიკოსებს სულ ერთსა და იმავეს უპასუხებენ: პირადობას თავისუფლება უნდა, თორემ კაცობრიობა არ განვითარდებაო (თითქოს ამის წინააღმდეგი იყოს ვინმე); 2) კლასთა ძმობა და თანხმობაა საჭირო (ბურჟუაზიის მეთაურობით).

ყოველისავე ზემოდ ნათქვამიდან, მგონია, სჩანს, რა გზით მივიდა ბურჟუაზია ამ დასკვნამდის და რა უფლებით ეძახის თავისს თავს დემოკრატიის დამცველს, რა უფლებით იწვევს ხალხს თავის დროშასთან. ეს საუკუნოებით შექმნილი შეცდომაა. ეხლა ყველას ესმის, რომ შეცდომაა, მაგრამ ბურჟუაზიის შემოქმედებითი ძალა ამაზე დაიშრიტა, იგი ახალს ველარაფერს ჰქმნის თავის რეჟიმის დასაცავად და წინანდელ სიმღერებს იმეორებს; უეჭველია, ეს შემოქმედებით ნიჭის დაშრეტის მიზეზია. ამიტომაა, რომ იმ მწერალთა თხზულებებში, რომელნიც ბურჟუაზიის ცხოვრებას აწერენ, თავ-დაუზწეველი, უსაშველო სევდა და ნაღველია გაბატონებული. ასეა, მაგალითად, იბსენისა და ჩეხოვის თხზულებებში. სამაგიეროდ სულ სხვასა ვხედავთ გორკის თხზულებებში.

განნარიმე

ლენნი უნდა ყოფილიყო ოთხი კაცი: მიხა, ლევანი და აგრეთვე ალექსი და სიმონი, რომელთა გვარები არ ვიცით. ტერ-გრიგორიოვს ჩიქოვანისათვის მიუნდვია თვალყური ედევნებინა ამ საქმისათვის. 16 დეკემბერს ჩიქოვანი კიდევ მისულა ბოქაულთან და გამოუცხადებია, რომ დანამდვილებით ვერ შევიტყე, დასახელებულთაგან რომელს რა მონაწილეობა მიუღია ქურდობაში, მაგრამ ნამდვილად-კი ვიცი, რომ მიხოს აცვია ის პალტო, რომელიც ერვიესათვის მოუპარავთ, ხოლო ლევანს ერვიეს პატარა ოქროს საათი აქვსო. გამომძიებელს გაუგია ერვიეს შვილისაგან, რომ სხვა ნივთებთან ერთად დაკარგულიყო დედის ნაქონი პატარა ოქროს საათი და მამის პალტო. 23 დეკემბერს ჩიქოვანს ბოქაულისათვის განუცხადებია: ამ დღეს დილით ბოროტ-მოქმედთ ქალაქს გარედ, სტეფანე სოგომონიანცის ბინაზე, იმის შინ არ ყოფნის დროს, მოპარული ნივთები გაიყვეს: გაყოფაში მონაწილეობა მიიღეს ლევანმა, მიხამ, ალექსიმ, სიმონ და სამსონ დანელიებმა. გაიყვეს 250 მან. და ოქროს საშაქრე, დიდი ოქროს ბრასლეტი, ოქროს დიდი მენდალი, საათი, ბეჭედი და სხვ. თითოეულმა ფულად მიიღო 50 მან. ხოლო ნივთები ყველასაგან დანელიამ შეისყიდა; ამას გარდა ერთმა, აკოფოვმა, სამსონ დანელიასაგან საჩუქრად მიიღო რევოლვერი. ნივთების განაწილების შემდეგ გადასწყვიტეს ბაქოს გამგზავრება ნავთლუღიდანაო. იმის გამო ნავთლუღში ბოქაულს წაუყვანია პოლიციელნი და ჩასაფრებულა ქურდების მოლოდინში. პოლიციელებმა ამ სადგომის დააპატიმრეს ერთი კაცი, რომელიც შემდეგ ახალ ქალაქის მაზრის მცხოვრები სამსონ იგივე არუთინ აკოფოვი აღმოჩნდა, რომელიც ურმის გზით სადღაც აპირებდა წასვლას. აკოფოვი ნავთლუღში მივიდა ჩიქოვანთან ერთად, აკოფოვი გამოწყობილი ყოფილა ახალს ტანისამოსში, რომელიც უყიდნია, ჩიქოვანის სიტყვით, ნაქურდალ ფულით 23 დეკემბერს. აკოფოვს ფულად ჯიბეში უნახეს 14 მან. და ერთი რევოლვერი. შიგნით ტანზე აკოფოვს ეცმია ჟილეტი, რომელსაც უკან შესაკრავი აბზინდი არ ჰქონდა (ერთი აბზინდი, ჟილეტზე მოგლეჯილი, ჰპოვეს ერვიეს სახლში). გიორგი ერვიეს გამოკითხვით გამორკვეულა, რომ იმის მამას ერთი ჩვეულება ჰქონია: თავისს საჭიროებისათვის ყოველთვის ახალს ფულს ხმარობდა თურმე; თუ შეხვდებოდა ნახმარი მანეთიანები, გარეცხდა და ისევე ახლად ინახავდა, როგორც სხვა ფულს. ერვიეს სახლში ნაპოვნ ჟილეტის აბზინდზე შერჩენილი მატერია და აკოფოვის ჟილეტის მატერია ერთი და იგივე აღმოჩნდა.

ყველა ამის გამო აკოფოვი პასუხის გებაში მიუციათ. გამოძიების დროს მოწმეებს ტერ-არაქელოვს და გიორგი ადამას უთქვამთ, რომ აკოფოვი კარგა ხანი ჩვენთან სცხოვრობდა და იმას ჯიბეში გროშიც არა ჰქონია; ხშირად საჭმელს სამოწყალოდაც კი იღებდაო. პასუხის გებაში მიუციათ აგრეთვე ოქრომჭედელი სამსონ დანელია. როცა აკოფოვს რევოლვერი უჩვენებიათ დანელიასათვის, იმას უთქვამს, რევოლვერი ჩემია, შესანახად მივაბარე ადამას და იმას ჩემდა დაუკითხავად აკოფოვისათვის უჩუქებიაო. ამაზე ადამას უარი განუცხადებია, ჩემთვის არასოდესაც დანელიას შესანახავად რევოლვერი არ გადმოუციაო. სამსონთან მოსამსახურეს სილიბისტრო დანელიას უთქვამს, რომ აკოფოვს დანელიამ რევოლვერი თითონ აჩუქაო. გამომძიებელთან დანელიას განუცხადებია, რომ მე ერვიეს მოკვლასა და გაძარცვაში არავითარი დანაშაულობა არ მიმიძღვის, მხოლოდ გამიგონია, რომ ამ ბოროტ-მოქმედებაში მონაწილეობა მიიღეს გრიგოლ ჩიქოვანმა (პოლიციის აგენტმა), ორმა სომეხმა ლევანმა და სიმონმა და ორმა კიდევ სხვამ, რომელთა გვარები არ ვიციო. დანელიას სიტყვით, ამ საქმეში მონაწილეობა მიიღო კიდევ ერთმა თმა-წითელმა იმერელმა, რომელმაც დანელიას გასაღებებიც კი შეუკვეთა. ყველა ესენი, უთქვამს დანელიას, ხშირად იყვნენ ხოლმე გიორგი ადამასთან. დანელიას დუქნის გაჩხრეკის დროს ერთს იმის მეზობელს, ახვლედიანს უთქვამს, კარგი იქმნებოდა გრიგოლ ჩიქოვანი გაგეჩხრიკათ, რადგან დარწმუნებული ვარ, იმას ამ ქურდობაში მონაწილეობა უნდა მიეღოს: ერვიეს მოკვლის წინა დღეს ის მოვიდა ჩემთან ორ უცნობ პირთან ერთად და მითხრა, მანეთ-ნახევარი მასესხე და, რადგან ამ დღეებში ბრილიანტებისა და ოქროების მოპარვას ვემზადებით, ნადავლიდან შენც გარგებთ რამესაო. ამის გამო დანელიას დაუწყია ჩიქოვანისათვის თვალყურება და 23 დეკემბერს კიდეც შეუნიშნავს, რომ იგი აკოფოვთან ერთად საპურე მოედანზე სტეფანე სოგომონიანცის სახლში შევიდა. ეს ამბავი დანელიას გამოუცხადებია პოლიციელისათვის, რომელთან ერთადაც მისულან სტეფანეს სახლში, მაგრამ ჩიქოვანსა და აკოფოვს მეორე კარებიდან გაუსწრიათ და დამალულან. ახვლედიანს, დანელიას ჩვენების გამო, განუცხადებია, მე სრულიადაც არ მითქვამს, ჩიქოვანს ამ ქურდობაში მონაწილეობა არ მიუღიაო და სხ.

ოლქის სასამართლოში გუშინ საქმის გარჩევას ხალხი იმდენი დაესწრო, ტევა აღარ იყო. სასამართლოში დანელიამ განაცხადა: მე ამ საქმეებთან არავითარი კავშირი არ მაქვს და არც ვიცი არაფერი; გამიგონია მხოლოდ, რომ ამ ბოროტმოქმედებაში მონაწილეობა უნდა მიეღოს სხვებთან ერთად გრიგოლ ჩიქოვანსაო. მეორე ბრალდებულმა აკოფოვმა თავი დამნაშავედ იცნო და სთქვა: ჩემთან ერთად ამ საქმეში მონაწილეობა მიიღეს გრიგოლ ჩიქოვანმა და სხვა სამმა კაცმა. როცა ერვიეს სახლში მივედით, მე კარებთან დავრჩი ყარაულად, სხვები კი ჩიქოვანთან ერთად შევიდნენ სახლში; მხოლოდ რამდენსამე ხნის შემდეგ შევიტყე, რომ ჩიქოვანსა და იმის ამხანაგებს მოუკლავთ ერვიე. მე არ ვიცი, რომ იმათ კაცის მოკვლა ჰქონდათ განზრახული.—აკოფოვის დამცველმა განაცხადა, რომ აკოფოვის ამ სიტყვების გამო, საქმეს სხვა ხასიათი ეძლევა, ამიტომ ვსთხოვ სასამართლოს, გადასდოს საქმე დამატებით გამოძიების მოსახდენად და აკოფოვის განცხადების შესამოწმებლადაო.

მოწმეების ჩვენებამ გასტანა საღამოს 4 საათამდე. შემდეგ ილაპარაკეს ბრალმდებელმა და ბრალდებულთა დამცველებმა. სასამართლომ საღამოს გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც დამნაშავედ იქმნა ცნობილი ორივე ბრალდებული ერვიეს გაძარცვისა და მოკვლის საქმეში და გადაუწყვიტა: აკოფოვს 20 წლის ვადით, ხოლო სამსონ დანელიას 15 წლის ვადით კატორღაში გაგზავნა. სამოქალაქო მომჩივნის დასაკმაყოფილებლად სასამართლომ გადასწყვიტა 2100 მან. გადახდეს აკოფოვისა და დანელიას მამულს გიორგი ერვიეს სასარგებლოდ.

წერილი რედაქციის მიმართ

ქუთაისის ქართული დრამატიული დასი უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვინც ინებებს შემწეობით ხელი გაუწვდინოს საზღვარ-გარედ სამკურნალოდ გამგზავრებულ ავადმყოფ არტისტ ვლ. ალექსი-მესხიშვილს, მიჰმართონ თავიანთი წვლილით ადგილობრივ რედაქციებს ან ივანე ისაკის ძეს პურადოვს. ქუთაისში.

სხვა გაზეთებსაც ვთხოვთ გადაჰბეჭდონ ეს ჩვენი თხოვნა.

ქუთაისის ქართული დრამატიული დასი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 თებერვალი

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. ბანერმანი თხოულობს შაქრის კონვენციის შესახებ განმარტებას. ბალფურმა უპასუხა: მთავრობის აზრით, ეს კონვენცია არ შეეხება იმ სახელმწიფოს, რომელიც ვაჭრობა-მრეწველობის მხრით განსაკუთრებულ პირობებში მყოფია. რუსეთი სულ სხვა აზრისა იყო, ამიტომაც ინგლისმა წინადადება მისცა, უარი ეთქვა სავაჭრო ხელშეკრულობაზე. რუსეთის მთავრობა ეხლა აცხადებს, რომ ამ საქმის შესახებ იგი განსაკუთრებულის აზრისაა და ამ საკითხს აკადემიურ საკითხად ჰსთვლის.

იოკაჰამა. პრინცი კომატსუ გარდაიცვალა.

პუერტო-კაბელო. კომანდერმა შედერმა 2 თებერვალს დაუბრუნა 15 ნავი ვენეცუელას მეთევზეებს, რომელთაც წართმეული ჰქონდათ.

მადრიდი. ესპანიის ელჩი იტყობინება ტანჟერიდან: ფეციდან 70 კილომეტრზე შეტაკება მოხდა; როგორც ამბობენ, სულთანს გაუმარჯვნია.

მიუნხენი. პრინც-რეგენტმა დაითხოვა სამსახურიდან სახელმწიფო მინისტრი კრაილსჰეიმი.

ფეცი. სამხედრო მინისტრის ჯარმა გაიმარჯვა. მოკლული და დაჭრილი ბევრია. მოკლულების თავები აქ ჩამოიტანეს დატყვევებულებთან ერთად, მაგრამ ამათ შორის ტახტის მაძიებელის ამალათაგანი არავინ არის.

პეტერბურგი. მათ იმპერატორებით უდიდესობათ დაათვალიერეს გამოფენა „თანამედროვე ხელოვნებისა“.

7 თებერვალი.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. ადრესის შესახებ კამათის დროს ვალონმა შესწორება მოითხოვა: მთავრობამ ნამდვილი საშუალება უნდა იხმაროს, რომ ინგლისის სავაჭრო და საპოლიტიკო ინტერესები გავრცელებული იქმნეს ჩინეთსა და სპარსეთში და რუსეთს მეტოქეობა გავუწიოთ სპარსეთშიო. ბოულსი შეეკითხა, რა საშუალება იხმარა მთავრობამ, რუსეთსა და სპარსეთს შუა სავაჭრო ხელ-შეკრულობის შემდეგ, რომ ბრიტანია-ინდოეთის ვაჭრობა დაცულ იქმნეს სპარსეთშიო. კრანბორნმა მიუგო: ინგლისის პოლიტიკა სპარსეთში შეუცვლელად რჩება; არავითარი საბუთი არ არის მოველოდოთ, რომ ინგლისისა და რუსეთის ინტერესები ერთმანეთს შეეტაკონ შუა აზიაში. ინგლისსა და რუსეთს დიდი ასპარეზი აქვთ თავიანი ძალები და საშუალებები მოიხმარონ თავიანთ წადილების მისაღწევად. ინგლისი და რუსეთი ერთმანეთში შეთანხმდნენ სპარსეთი ხელ-უხლებელი დარჩეს და რუსეთი არასოდეს არ ცდილა ამის დარღვევას. ინგლისი იმას ცდილობს, რომ სპარსეთში თავისი ვაჭრობა გაავრცელოს. ვშიშობ, რუსეთსა და სპარსეთს შუა ახალმა სავაჭრო ხელ-შეკრულობამ დიდად არ შეუშალოს ხელი ბრიტანიის ვაჭრობას სპარსეთში.

კონსტანტინეპოლი. პორტამ გამოუცხადა ბოლგარიის მთავრობასა და სულთანმა მთავარს ფერდინანდეს მადლობა მაკედონელ კომიტეტების წინააღმდეგ ხმარებულ საშუალებათა გამო.

რომი. იტალიის ელჩმა ოსმალეთში ბრძანება მიიღო, ავსტრო-ჰუნგრეთისა და რუსეთის ელჩების მოთხოვნილებას მაკედონიაში რეფორმების შემოღების შესახებ მხარი დაუჭიროს.

ბუდაპეშტი. მინისტრს ფეირვარსა და დეპუტატს ლენგიელს შუა დუელი მოხდა. მინისტრმა პალატაში დაუყვირა ლენგიელს „სტყუითო“ და პრეზიდენტმა მოსთხოვა, წესიერება დაიცევითო. მინისტრი მსუბუქად დაიჭრა მარჯვენა ხელში.

მიუნხენი. სახელმწიფო მინისტრად დაინიშნა სასახლისა, გარეშე საქმეთა და სარწმუნოებათა მინისტრი ბარონი პოდევისა.

სოფია. ორის დღის კამათის შემდეგ, საერო კრებამ, დიდის ხმის უმეტესობით მოიწონა ის საშუმლებანი, რომელიც მაკედონელთა კომიტეტების წინააღმდეგ იხმარა მთავრობამ და მადლობაც გამოუცხადა ამისათვის.

ვენა. ხანგრძლივის კამათისა და მეორედ წაკითხვის შემდეგ, 217 ხმით წინააღმდეგ 108-სა, მიიღეს კანონ-პროექტი, რომლითაც ჯარში სამსახურისათვის უფრო მეტი ხალხი გაიწვიონ. სოციალ-დემოკრატის შუმახერის წინადადება, ჯარში იმდენივე გაიყვანონ, რამდენიც ეხლა მიჰყავთო, უარჰყო რეიხსრატმა 213 ხმით წინაარმდეგ 109-ისა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 0ს წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7 /71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

ზოდაპანამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.)

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).; 3 სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით) პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს, 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ზოდაპანისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

განცხადებანი

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობა ამით აცხადებს, რომ მას არჩეული ჰყავს საზოგადოების აგენტებად (დამხმარებელ წევრებად) შემდეგი პირები, რომელნიც ღებულობენ ყოველგვარ შემოწირულებას „საზოგადოების“ სასარგებლოდ და რომელთაც შეიძლება გადასცენ წევრებმა საწევრო ფული როგორც ერთად, ისე ნაწილ-ნაწილად.

1) **ალექსანდროპოლში:** ბაგრატ სიმონის ძე გიისადაძე, სამსონ ანტონის ძე დუმბაძე; 2) **ახალ-ხენაკში:** კნ. ანნა გიორგის ასული მხეიძისა, ეკატერინე ბესარიონის ასული მოსიძისა, ნიკო ჯანაშია; 3) **ბათუმში:** კრ. ი. ვოლსკი; 4) **ბალახანაში:** ეკატერინე ლორთქიფანიძისა, დიმიტრი მელაძე, გიორგი სალარიძე; 5) **ბაქოში:** ოლღა დიუდვაკოს ასული ქანანაშვილისა, მარიამ დოდობერიძისა, ივანე ელიაშვილი, თავ. იოსებ დადიანი; 6) **ბორჯომში:** ვლადიმერ ყიფიანი; 7) **განჯაში:** თავ. მიხეილ ივ. თაქთაქიშვილი, ნიკოლოზ ლუკ. ბაქრაძე, არხიპო მესხელიშვილი; 8) **გორში:** ნინო დურმ. მაქარაშვილისა, კნ. მაკრინე ქაიხ. ამირეჯიბისა ნინო ყიფიანისა, კნ. ბარბარე ამირეჯიბი, ნიკოლოზ ლომაური; 9) **დუშეთში:** ელის. სულხანიშვილისა; 10) **ერივანში:** გრიგოლ ბურჭულაძე; 11) **ზუგდიდში:** სპირიდონ აპესაძე; 12) **ზესტაფონში:** კნ. ბარბარე წერეთლისა, გიორგი ბოკერია; 13) **თელავში:** კნ. ელენე გახვახიშვილისა, დიმიტრი ახვლედიანი, პეტრე პავლ. ხუნდაძე, ვასილ კახიძე, ივანე ოდელაშვილი ნიკიფორე მამინაიშვილი; 14) **თემირხანშურაში:** მიხეილ ბაქრაძე; 15) **თიანეთში:** კნ. ანნა დიასამიძისა; 16) **ლეჩხუმში:** კნ. დესპინე გელოვანისა; 17) **მოზდოკში:** გიორგი დუდუშაური; 18) **მოსკოვში:** ალექსანდრე კვალიაშვილი; 19) **ნიკოლაევში:** ოლღა გიორ. ხოფერიასა; 20) **ნოვოროსიისკში:** მაკრინე ღლონტისა, ბახტაძე; 21) **ოჩამჩირეში:** სპირიდონ ნორაკიძე; 22) **ოზურგეთში:** დიმიტრი შავიშვილი, მღ. დიომიდე შილაკაძე, მიხეილ თუმანიშვილი, ნიკო თავდგირიძე; 23) **როსტოვში:** სტ. ელიაძე; 24) **საჩხერეში:** კნ. ნინო წერეთლისა, კნ. მერი სიმ. წერეთლისა, ყარამან ჩხეიძე; 25) **სოხუმში:** კნ. ტერეზია შერვაშიძისა, თეიმურაზ გაბუნია, სტეფანე თურქია; 26) **სიღნაღში:** გიორგი იას. ტუავაძე; 27) **სალონიკში:** ისე რაჭველი; 28) **სევასტოპოლში:** კობეშავიძე; 29) **სტამბოლში:** გ. ჯუღელი; 30) **ფოთში:** კონსტანტინე იოს. მიქაბერიძე, იაკობ სპირიდონის ძე ფანცხავა; 31) **ქუთაისში:** ანნა ბეგლ. ლორთქიფანიძისა, მელანია დუარს. გველესიანისა, მარიამ იოს. ყაუხჩიშვილისა, ანასტასია დიმ. ბაქრაძისა, ნინო ბეს. ხელთუფლიშვილისა, მიტროფანე ლაღიძე, იოსებ მერკვილაძე, ალექსანდრე კრინიცკი, ვასილ ა. თუმანიშვილი; 32) **ხონში:** ქ. კესარია გიორგ. ტატიშვილისა, პოლიევქტო დავ. კიკალიშვილი; 33) **ჭიათურაში:** გიორგი ცერცვაძე, ირაკლი დეკანოზიშვილი, კარპე მოდებაძე, თავ. ივანე (კოტა) აბაშიძე. (2—1)

გ ა მ ო ვ ი დ ა

1 და 2 ნომერი ჟურნალ „მოგზაური“-სა, მრავალ-ფეროვანის შინაარსით. ხელის მოწერა მიიღება. ფასი წელიწადში 5 მანეთი.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Могзаури». (3—2)

ცინკოგრაფია

ტიფლ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ბანკის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდამ.

Дозв. ценз. Тифлисъ, 7 Февраля, 1903 г.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ.

(Электропеч. Груз. Издат. Т—ва)